№ 526. ოთხშაბათი, 6 მაისი. 1896—1898 ოთხშაბათი, 6 მაისი, № 526

სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ., მეოთხეზე 4 კაპ.
Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

კვირას, 10 მაისს,
ქართული სცენის-მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

ყარამანი

ფეერია 3 მოქმედ. და 11 სურათად ვ. აღნიაშვილისა.
ადგილების ფასი დაკლებულია
დასაწყისი სწორედ 8½ საათზედ
ბილეთები არავის არ გაეგზავნება. (5—1)

17 მაისს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

ჩვეულებრივი წლიური კრება

„შუამავლისა“

კრებას წარედგინება განსახილველად წლიური ანგარიში ამხანაგობის საქმეებისა, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1898 წლისა და ცალკე მოხსენებანი შესახებ ამხანაგობის ზოგიერთი საქმეებისა

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

„ბავშვების მოკეთის“

შესახებ.

აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე“ მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.
(50—9) პატივისცემით ალ. ნათაძე.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში

ქართული საერო და სასულიერო კილოები

შედარების ნიმუშებით
მღვდ. პ. კარბელაშვილისა
ფასი 20 კაპ. (5—5)

გამოვიდა და ისყიდება
წ.-კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხან. მაღაზიებში

ბლეხი-კაცის ისტორია

ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ივ. მაჭავარიანისა
ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.
ფასი თითო ნაწილისა **სამი აბაზი.**
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური.

იქვე ისყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები

ბრჭყალები,
3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კ.

ივდითი,
ტრაგედ. 5 მოქმ. ჯიაკომეტისა, ფასი 30 კ.

ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (30—18)

შპალერების საწყობი

ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ

І. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 2)

მევენახეთა საყურადღებოდ

ვერმორელის აპარატები

(ვაზის სასხურებელი)
ადგილობრივ გაკეთებული და გაუმჯობესებული

გთხოვთ მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება:
ჩემ გაკეთებულ აპარატებზე ამოჭრილია შემდეგი წარწერა:

Механическое Водопроводное Заведеніе
С. И. Лазарева
მეხანიკური ქარხანა ს. ი. ლაზარაშვილისა

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია

ჩვენ მიერ გაკეთებული აპარატები უფრო ბურჯიანი და გამძლეა, ვიდრე საზღვარ-გარეთელი, რაშიაც ვსთხოვ ყველას დარწმუნდნენ. მსურველნი მიჰმართავენ: Тифлисъ, Сергіевская ул. д. Кетхудова № 9. (10—8)

გამოვიდა საყმაწვილო წიგნი

პატარა ლორდი

„ჯეჯილის“ რედაქციის გამოცემა
თარგ. ელ. წერეთლისა
ფასი **30** კაპ.

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში. (10—3)

განიხვრა და დაფასება

ტყიან მამულებისა

დაფასება სამეურნეო შემოსავლისა

მამულის გეგმის შედგენას და სხ. კისრულობს ალექსი გრიგოლის ძე **სნეჟკოვი**, ლაბორატორიის ქუჩა № 26.

Алексѣй Григоріевичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—9)

ექიმი

კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки. (100—6)

ახალგაზდა

ქართველი ქალი

კურს დამთავრებული

საშუალო სასწავლებელში და დაჯილდოვებული მეცადინეობისათვის, ეძებს ყმაწვილებს მოსამზადებლად პირველ დასაწყისი სასწავლებლებისთვის. თანხმაა სახლებშიაც იაროს.

მსურველთ იკითხონ: ვოზნესენსკის ქუჩაზე, სახლი № 25. (6—5)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის Dr **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის. სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

ახალი ამბავი

⁂ აკაკის ავადმყოფობა. ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ აკაკი მალე ჩამოვიდოდა ტფილისში, მაგრამ როგორც გუშინ საღამოს შეგვატყობინეს ქუთაისიდან, აკაკი უარესად გამხდარა და მისი ჩამოსვლა ტფილისში ჯერ-ჯერობით შეუძლებელიაო.

⁂ დრამატიული საზოგადოების კრება დანიშნულია ამ თვის 20-ს. კრებამ უნდა აირჩიოს მთელი გამგეობის წევრნი, სარევიზიო კომისიის სამი წევრი და ახალი წევრნი. ამას გარდა კრებამ უნდა განიხილოს წლიური ანგარიში მოქმედებისა.

⁂ წარმოდგენა დამშეულთა სასარგებლოდ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ჰმართავს წარმოდგენას ამ თვის 17-ს დამშეულთა სასარგებლოდ; შემოსავალი ამ წარმოდგენიდან გაუნაწილდება ორი წილი საქართველოში დამშეულთ და ერთი წილი რუსეთში დამშეულთ.

⁂ მთავარ-მართებლის კანცელარია სთხოვს ტფილისის გუბერნატორს, გვაცნობეთ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს ბოდბის დედათა მონასტრისათვის ქალაქის ადგილის დათმობის საქმეო.

⁂ ახალი დანიშვნები. ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწე პორუჩიკი თავ. დადეშქელიანი დანიშნულია რაჭის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

⁂ ბეგის ლოლუას საქმე. 15 მაისს დანიშნულია ქალაქ ფოთში ბეგის ლოლუას საქმე, რომელსაც ჰბრალდება იმ ყაჩაღებთან მონაწი-

ლეობის მიღება, რომლებიც მთელ სამეგრელოს თავ-ზარსა სცემდნენ (სახელდობ ჯიქიასა და მელიასთან).

⁂ **ნავთის წარმოების საქმე.** როგორც ისმის, ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს მიიღოს შესაფერი ზომები იმისათვის, რომ არც ერთი სხვილი ნავთის წარმოება არ გადვიდეს უცხოელ მწარმოებელთა ხელში.

⁂ **ქალაქის სამკურნალო კუკიაში.** ქალაქის მოურავმა სთხოვა გუბერნატორს, აიღეთ ნებართვა კუკიაში ქალაქის სამკურნალოს დაარსებაზეო. თავის თხოვნას მოურავი იმით ასაბუთებს, რომ ქალაქის ცენტრალი სამკურნალო ისეა ხოლმე ავადმყოფებით ავსილი, რომ ყველა ავადმყოფთათვის შემწეობის აღმოჩენა მეტად ძნელდებაო.

⁂ **გერმანელი მოგზაურები.** ტფილისში მოვიდნენ ბაქოდან 15 გერმანელი მოგზაური, რომელთაც განზრახვა აქვთ დაჰყონ აქ რამდენიმე დღე და დაათვალიერონ ტფილისის ყველა ღირს-შესანიშნავი ადგილები და მცხეთის ტაძარი.

⁂ **დუმბაძის საქმე.** 8 მაისისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად საყურადღებო საქმე დუმბაძისა, რომელსაც ჰბრალდება ისმანოვის მოკვლის განზრახვა.

⁂ **მოუსავლობით დაზარალებული სოფლები.** გარდა თელავის მაზრისა, შარშანდელ მოუსავლობით დაზარალებულია დუშეთის მაზრაც. ყველა დაზარალებული სოფლები ჩამოიარა ხარკის ამკრეფმა ინსპექტორმა ბ. კოჩინსკიმ იმ აზრით, რომ პირადად დარწმუნებულიყო, თუ რაოდენია ხალხის გაჭირვება, და შემდეგ ამის შესახებ წარუდგინა დაწვრილებითი მოხსენება მაზრისუფროსს. მოუსავლობით დაზარალებულა შემდეგი სოფლები: ახალ-გორი, ბოლი, ერედა, ზუანთ-კარი, წირქოლი, წირი, ზახორი, ყანჩაეთი, ატოცი, ავლევი, გუდაწვერი, გეზერეთი, საფარეშეთი, მონასტერი, დებაკნეთის სასოფლო საზოგადოება, ფიქვანარი, კოდა და ძეღლევა. საშუალო რიცხვით თვითეულ კომლს დაჰკლებია არა ნაკლებ 200 მანეთისა პურის მოსავლისაგან და 600 მანეთამდე ყურძნის მოსავლისაგან.

⁂ **ნიხრი ხორცზე.** ქალაქის საბჭომ სხვათა შორის, განიხილა კითხვა ხორცზე არსებულ ნიხრის შესახებ. ქალაქის საბჭომ ვერ ჰპოვა საპატიო მიზეზი ნიხრის მოსამატებლად და დაადგინა დარჩეს არსებული ნიხრიო.

⁂ **სულით ავადმყოფთა მოსავლელი სახლი.** რადგან მიხეილის საავადმყოფოში სულით ავათმყოფთა განყოფილება მთლად გაივსო, ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს იმის შესახებ, რომ დაუყონებლივ დაარსდეს უკურნებელ სულით ავადმყოფთა მოსავლელი სახლი ქალაქისათვის 40 ტახტით, რითაც საავადმყოფოსთვის მოსახერხებელი შეიქნება მიიღოს ხოლმე განთავისუფლებულ ადგილებზე სხვა უკურნებელი ავადმყოფნი, რომელთაც საჩქარო დახმარება ესაჭიროებათ. ამას ბ. გუბერნატორი დასძენს, რომ ასეთი სახლის შენახვა ქალაქს დაუჯდება 160 მანეთად თვითეულ სულით ავადმყოფისათვის.

⁂ **თბილისელ ბაზაზების სამღთო.** 4 მაისს, ორშაბათ ბაზაზხანის ბაზაზებმა სამღთო გადაიხადეს, სამასამდის გლახებს გაუმასპინძლდნენ: თვითეულს დაურიგეს თვითო ჯამი შილაფლავი, თითო გირვანქა პური, თითო ჰიქა ღვინო და თანვე გაატანეს ჯამ-კოვზი. ამ გვარათ ყოველს წელს უმასპინძლდებიან ხოლმე ღარიბ-ღატაკთ, რაიც ფრიად სასიამოვნო და მისაბაძიცაა.

⁂ **ღვინის საკეთებელ და ნაყოფების სახმობ იარაღთა შესაძენა სესხი.** სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: გაიცეს სესხი ღვინის შესანახი სარდაფების გასამართავად, ღვინის საკეთებელ მარნების მოსაწყობად და ღვინის საკეთებელ და აგრეთვე ნაყოფების სახმობ იარაღების შესაძენად, იმ პირობით: ა) რომ ამ სესხის შემწეობით მოწყობილი სარდაფ-მარნები და შეძენილი იარაღები სიდიდით და რაოდენობით ეთანასწორებოდეს მსესხებლის ვენახისა ანუ ხე-ხილის მოთხოვნილებას, ბ) რომ სარდაფების სიდიდე საკმარისი იყოს ამა თუ იმ ვენახის მოსავლის შესანახად არა უმეტეს 6 წლისა, და გ) რომ უძრავი ქონება მიიღებოდეს ასეთი სესხის უზრუნველ-საყოფელად, რაოდენობით არა უმეტეს მისი ღირებულების სამოცდა-ხუთმეტი პროცენტისა.

ეს დადგენილება უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

⁂ **შაბიამნის მიღება ინგლისიდან.** 3 მაისს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო ინგლისიდამ 1000 ფუთი შაბიამანი. რაც საზოგადოებას დღემდე შაბიამანი ჰქონდა, სულ გაიყიდა. ამ ბოლო დროს ვენახების სამკურნალო საშვალებათა მოთხოვნილებამ შესამჩნევად იმატა, იმის გამო, რომ ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ ამ საშვალებათა უბაჟოდ შემოტანა ნება დართულია არა მარტო ტფილისისა და ერევნის გუბერნიებისათვის, არამედ კავკასიის ყველა ვენახებიან რაიონებისათვის.

⁂ **მსახიობის ჩივილი.** ბ-ნო რედაქტორო! რადგანაც წერილებით ვერას გავხდი, ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით მაინც მივაწვდინო ჩემი ხმა ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების კომიტეტს. ბ-ნო ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარევ! უკაცრავად კი გახლავართ ასე ხმა-მაღლა ლაპარაკისათვის, მაგრამ თუ შეიძლებოდეს შემატყობინეთ მიზეზი თქვენის სიჩუმისა ჩემს წერილებზე. თუ ვინიცობაა პირველი წერილები დაიკარგნენ სადმე ფოსტის გზაზე რომელიმე მოხელის დაუდევრობით, ეს უკანასკნელები, რომლებიც „ზაკაზნოით“ გამოვგზავნე, ხომ უეჭველად მოგივიდოდათ და რატომ არ მატყობინებთ ჩემს ნაწვალებს და მთელი წარსული ზამთრის ნაშრომ-ნაღვაწს მაძლევთ თუ არა? და თუ არა, რატომ არა? თუ რამ მიზეზი შემაჩნდა და „მშტრაფავთ“, ეგ ჩემს მანდვე ყოფნაში უნდა გებრძანებინათ. ან თუ როლები არ ვიცოდი ხოლმე, როგორც მომეტებულ ნაწილს ჩვენს არტისტებს აქვთ ხოლმე ჩვეულებათ მიღებული, ან თუ ვლოთობდი და რეპეტიციებზე ანუ წარმოდგენებზე შესაფერად არ ვიქცეოდი,—ერთი სიტყვით რაც უნდა მიზეზები ყოფილიყო, მაშინვე უნდა გებრძანებინათ, და არა შემდეგი სიტყვებით გამოგესტუმრებინეთ მაქედამ: „თებერვლის გასულს უეჭველად მიიღებთ ჩემს წერილს, ცარიელს კი არა, არამედ ფულიანსო“, მერე სად განქრა? ნეტავი ცარიელი მაინც მღირსებოდა და ერთხელ მაინც არის შემეტყო ან ჰო, ან არა და თუ არა გამოვიდოდა რა, წერილების გზავნაში მაინც აღარ დავხარჯავდი ფულებს. არა, ჩემო მკითხველნო, თქვენ წარმოიდგინეთ ჯერ თვით ჯამაგირი ქართული თეატრის აქტიორებისა და ისიც რომ აღარ მოგვცენ, რაღათი უნდა ვისულდგმულოთ ჩვენ საწყლებმა. მერე მე ჩემს ოჯახს, სახლ-კარს, ცოლ-შვილს მოვშორდი და წავედი ქუთაისში, როგორც მიწვეული, ვიფიქრე საწყალი კაცი ვარ და ერთ ორ შაურს ვიშოვნი მეთქი, მაგრამ ღამის გამიწყრეს ღმერთი და პირში ჩალა გამოვლებული დავრჩე, თუმცა იმედი სრულიად დაკარგული არა მაქვს, ჰმ, ეს ოხერი იმედი რა კარგი საქონელია, თებერვლის გასვლამდის ვიქონიე იმედი, მერე მარტის გასვლამდე გადავდე იგი, მერე აპრილისა და როგორც ვატყობ, იმედი მხოლოდ იმედად რჩება. ეჰ, რაებს ვფიქრობ, შორს ჩემგან, მე მაინცა და მაინც იმედს არ ვკარგავ. ათასს რასმეს ვფიქრობ: იქნება ჩემგან ქუთაისში დატოვებული ადრესი დაკარგა მეთქი ხაზინადარ-თავმჯდომარემ, მაგრამ მე რომ წერილებს უგზავნიდი ხომ ყველაში ადრესსაც ვწერდი, არა ეს არ იქნება მიზეზი. უთუოდ სხვა არის რამ. მაგრამ რა? ჰო, იქნება მე თვითონ ვცდები და სწორე ადრესით არ ვგზავნი მათთან წერილებს, რადგანაც საცხოვრებელ ბინის გამოცვლა ხშირ ხშირად შეიძლება, ამიტომ წერილებს ვგზავნიდი სამსახურის ადგილს. თუ ეს ადრესიც სწორე არ არის და მაშასადამე, წერილს ვეღარ მოგაწვდით, რომ ჩემი ვითხოვო, ამისათვის გთხოვთ ბ-ნო თავმჯდომარევ და თუ თქვენ ამ გაზეთის ნომერს ვერ შეხვდებით,—თქვენ მაინც ერთ-ერთ წევრნო ზემო ხსენებულ კომიტეტისავ, გთხოვთ უმორჩილესად გამომიგზავნოთ რაც ჩემი ჯამაგირია დარჩენილი თქვენზე და მით გაახაროთ ჩემი ნაღვლიანი გული: რას მემართლებით, მეც ხომ არც ერთ როლზე უარი არ მითქვამს. იმედია აღარ მათხოვნინებთ. ჩემი ადრესიც აი რა მოკლეა: Телавъ, Д. М. Гамкрелидзе.

თქვენი ფრიად პატივისმცემელი და
ყოველ ჟამს თქვენი მომგონებელი საწყალი ქართული თეატრის აქტიორი დ.
აწყურელი

⁂ **ზოგიერთ მებოსტნეთა საყურადღებოდ.** თითოეულმა მებოსტნემ კარგად უნდა იცოდეს, რომ ერთი უმთავრესი მტერთაგანი ბოსტნეულ მცენარეებისა არას მახრაჯა, რომელიც დიდ ზარალს აძლევს ჩვენში მებოსტნეთა; იგი უმეტეს ნაწილად მრავლდება დანაკლებულ მიწებზედ და ბოსტნისათვის ნაკელი ნომ მოუცილებელი საჭიროა, მაშასადამე ბოსტანს მახრაჯა არ ასცილდება და რამდენი მეტი ხანი დარჩება ერთი და იგივე ალაგი საბოსტნეთ, იმდენათ მტრები უფრო მრავლდებიან; აი ამ დროს ყოველი მებოსტნე იძულებულია რამენაირი ხერხი იხმაროს და არ ჩააყლაპინოს მტერს თავისი სიმდიდრე, მაგრამ ბევრი მებოსტნეთაგანი უსაფუძვლოდ ჩქარა თავს ანებებენ მებოსტნეობას და გაიძახიან: „აღარა ღირს ბოსტნეულის გაშენება ხან ერთ მტერს ვერ გადავურჩით ხან მეორესაო, უმჯობესია სხვა რამეს მოვკიდოთ ხელი“ო, ამით თითონაც უიმედონი რჩებიან და სხვებსაც იმედს უკარგვენ. ამის გამო რასაკვირველია ჩვენში მებოსტნეობა დაბალ ხარისხზედა სდგას. უმჯობესია ამისთანა პირებმა მოთმინება იქონიონ დს ყოველი ღონე იხმარონ მტრის მოსაგერებლად, მაშინ-კი იმედი გაუმართლდებათ.

ბევრ გვარ სხვა და სხვა საშუალებებს შორის მახრაჯის წინააღმდეგ ჩემ მიერ იყო მიღებული შემდეგი ზომები ყვირილის ნორმალურ სასწავლებლის ბოსტანში (1897 წ.) ახლად გადარგულ ნერგეულობის, მაგალითად: კომბოსტოს, ხახვს, პრასას, ბადრიჯანს და სხვა ბოსტეულ მცენარეებს ჰქონდათ შემოკრული ირგვლივ დაჭრილი სქელი ქაღალდი. (ყდებისთვის რომ ხმარობენ.) ანუ ბალის ქერქი; ესენი უნდა გაკეთდნენ ასე: აიღეთ სქელი ქაღალდი ანუ ბალის ქერქი, დასჭერით სიგრძით 4-5 გოჯზე და სიგანით 1-2 გოჯზედ, სიგრძის ერთი მხარე ჩაჰჭერით ხშირ ხშირათ ასე რომ მათ მიიღონ ხერხის მსგავსი შეხედულობა. ამ ნაირად მომზადებული სქელი ქაღალდი ანუ ბალის ქერქი შემოაკარით ირგვლივ ყოველ ახალ დარგულ ნერგეულობას ბეჭედივით. ხერხის კბილებივით ჩაჭრილი მხარე მათი უნდა ქვევით ფესვებისაკენ მოაქციოთ, ეს იმიტომ, რომ მათ არ დაუშალონ თავისუფლად საზრდოება ფესვებს ნიადაგადგან. ზევითა პირი მათი კი უნდა სჩანდეს; ესენი იმ ნაირად უნდა იყოს გაკეთებული, რომ თითოეული მცენარე მათ შუა ალაგზე მოხვდეს. ასე ამ რიგად მიღებული საშუალება ჩემი გამოცდილებით ძლიერ კარგს შედეგს იძლევა; რადგან მახრაჯა მცენარეს თითქმის მიწის პირთანა სჭრის და უმეტეს ნაწილად განზე დადის, იმ გვარის საშუალების შემდეგ იგი ვერას გახდება და გვერდს უვლის მცენარეებს. მე ჩემის მხრივ დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ვაძლევ ამ ზომების მიღებას და თამამად ურჩევ ამ ჩემ პატივცემულ პირთ, ვისაც ჯერ არ უცდია ამ გვარი საშუალებანი.

ყვირილის ნორმალური სასწავლებლის
სამეურნეო ნაწილის მასწავლებელი გრიგოლ მხეიძე

⁂ **ბათუმი. მარიამის საქალებო გიმნაზია.** 30 აპრილს ქალაქის საბჭომ განიხილა გამგეობის მოხსენება ადგილობრივი მარიამის საქალებო სასწავლებლის მარიამისავე საქალებო გიმნაზიად გადაკეთების შესახებ. მოხსენებიდან სჩანს, რომ გიმნაზიის გასავალი 7000 მანეთით გადააჭარბებს შემოსავალს. ასეთი გასავალის დასაფარავად საბჭომ საჭიროდ დაინახა გადასახადი დაედვას ქალაქის ცარიელ ადგილებსო. საბჭომ მოიწონა მოხსენება და მიანდო გამგეობას შუამდგომლობის აღძვრა აღნიშნულ საგნის შესახებ. ამასთანავე, საბჭოს თხოვნით, ქალაქის მოურავმა, რომელიც ამ დღეებში პეტერბურგს მიემგზავრება, აღუთქვამას, პირადად ვიშუამდგომლებ სახალხო განათლების მინისტრის წინაშე ბათომში საქალებო გიმნაზიის საჩქაროდ დაარსების შესახებაო.

⁂ **ს. კულაში** (იმერეთი). **ვექსილის დახევა.** ადგილობრივმა მცხოვრებმა კ—მ მოიწვია შინ ერთი აქაური ებრაელი, რომლისაც მას 300 მან. ემართა, ვითომ ვალის გადასახდელად. ებრაელი მოვიდა მასთან ამხანაგითურთ. კ—მ დააწყებინა თავის შვილს სტუდენტს იურისტს, ფულების თვლა. თაითონ კი მოსთხოვა ებრაელს ვექსილი და უთხრა, ახლავე მთლად დაგიბრუნებ ვალს სარგებლითაო; მაგრამ, როგორც-კი ვექსილი ხელთ იგდო, ნაკუწ-ნაკუწად დაჰგლიჯა და შეუტია ებრაელებს, თავიდან გამეცალეთო, კ—ის შვილმა-კი ჩაიდვა ჯიბეში ფულები. გაცოფებული ებრაელები ეცნენ კ—ს წვერებში და მოსთხოვეს ფული. ყვირილზე შემოსცვივდა მთელი ოჯახობა კ—ისა დაე ბრაელები გარედ გამოჰყარეს; მათ უკან დაედევნა კ ის შვილი რევოლვერით; ერთი ებრაელი ქვითინით დაეცა ჭისკართან და აღარ უნდოდა ფეხი მოეცვალა, მეორე-კი გაიქცა სამტრედიის ბოქაულთან, რომელმაც მოსვლისათანავე ოქმი შეადგინა.

— **ამინდები და მოსავლის პირი.** აქეთ წვიმებია. თესვა დაგვიანდა. ვენახები ნაკლებ იმედს იძლევიან.

— **სიმინდის გაძვირება.** სიმინდის ფასმა 54 კაპიკამდე აიწია, რის შემწეობით სოფლელები ფულის ბლომად შოვნას ოცნებობენ, მაგრამ ბევრმა ადრე გაჰყიდა სიმინდი იაფ ფასად. („ნოვ. ობ.“).

⁂ **ჭალადიდი.** **მკვლელობა.** 23 აპრილს აქ მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი. ჭალადიდში რკინის გზის ლიანდაგზე მუშაობს მრავალი ხალხი კუბისკისთან, რომელსაც აღებული აქვს იჯარით რკინის გზის ლიანდაგის ერთ საჟენამდე აწევა. ორ მუშას ჩხუბი მოუვიდა და ერთმანეთზე საცემად მიიწიეს, მაგრამ იქ მყოფებმა გააშველეს მაჩხუბრები. რამდენისამე საათის შემდეგ მიეპარა აფხაზი ძა-

ძმია ჭალადიდში მცხოვრებ ფარლალავას, დაარტყა თავში ნიჩაბი და გაიქცა; მას გამოუდგა ფარლალავა, მაგრამ სირბილი ვეღარ შესძლო და წაიქცა. ფარლალავა მეორე დღესვე გარდაიცვალა. საბრალოს თავი ისე გაჰხეთქოდა, რომ ტვინი ამოსდიოდა, მაგრამ კარგი მომვლელი რომ ჰყოლოდა, შესაძლებელია კიდეც მორჩენილიყო.

№ №

⁂ **ქ. ბათუმი.** თამარის დროის ეკკლესია. ქალაქ ბათომს ორი ვერსტის მანძილზე, სამხრეთ აღმოსავლეთის მხრივ უძევს შაქრის თავივით ამართული ტყით დაბურული მთა-გორა, რომლის მწვერვალებიდანაც გულ-საკლავად, და თანაც ქართველ ერის ოდესმე დიდების გამოხატვის ნიშნად დაჰცქერის შავს ზღვას, დიდებულის სახელოვანის მეფის თამარის დროს აშენებული, ეკკლესიის ნანგრევი. ხალხის გადმოცემით „წმინდა სამების სახელობაზე აშენებული". მეთვრამეტე საუკუნეში იგი დაუნგრევია ოსმალთ, მრავალი ძვირფასი საეკკლესიო სამკაულნი წაუღიათ. ახლა მხოლოდ ორი კედელი, და საძირკველია დარჩენილი, რომელსაც დღესაც დიდის პატივითა, და სიყვარულით ეპყრობა ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანები და ყოველ შაბათობითა და კვირა უქმე დღეებში ჩუმ-ჩუმათ სანთელ-საკმეველიც მიაქვთ ხოლმე ნანგრევს.

სიგძე ამ ეკკლესიისა 12½ ალაბ ნახევარია, ხოლო სიგანე 7½ შვიდ ნახევარია. ნანგრევებიც საკმაოდ მაღალია. ეტყობა თავის დროზე საკმაოდ დიდი ეკკლესია ყოფილა. ამ ეკკლესიას ნეტარ-ხსენებული ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძეც იხსენიებს თავის ისტორიაში...

აი ამ ძველი ეკკლესიის განახლება მოისურვა მამა მიხეილ ჩხიკვაძემ, და საჭირო თხოვნაც გაგზავნა უმაღლეს მთავრობასთან.

ამ ერთი თვის წინათ ნებართვაც მიიღო მამა მიხეილმა იმ ეკკლესიის განახლებისათვის. მამა მიხეილს დიდი იმედი აქვს, რომ ქართველი საზოგადოებაც თანაგრძნობით მიეგებება ამ დიდებული საქმის განხორციელებას, და საჭირო შემწეობასაც აღმოუჩენს ხოლმე. მას განზრახვა აქვს ყოველ შაბათობით კვირაობითა, და უქმე დღეებში სწიროს ქართულად, ახლოდ შეკეთებულს ეკკლესიაში, რასაც დიდის აღტაცებით მოელიან ხოლმე ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანები. ისინი ამბობენ: „ჩვენც შეძლებისა და გვარად დახმარებას აღმოგიჩენთ ოღონდ კი ხშირ-ხშირად გაგვაგონეთ ქართული წირვა-ლოცვაო".

ვისურვებთ ამ დიდებულ საქმის ადრე და მალე სასურველად დაგვირგვინებას.

ლ. ჩოხატაურელი

⁂ **ს. მეტეხი** (ქართლი). თხოვნა გუბერნატორთან. 27 აპრილს ს. მეტეხის საზოგადოებამ გუბერნატორს თხოვნა მიართვა იმის შესახებ, რომ წელს მეტეხის ვენახები მეტის-მეტად გახმა, ასე რომ ფოთოლი აღარ გამოიტანა. მიწის მოსავალსაც კარგი პირი ვერ უჩანს და ამიტომ სთხოვენ გუბერნატორს იშუამდგომლოს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რათა წინა წლების დარჩენილი გადასახადი გვაპატიოსო.

იმედია, ბ-ნი გუბერნატორი მიაქცევს ამ თხოვნას ყურადღებას და მით შემწეობას აღმოუჩენს, თორემ თუ აქედანაც უყურადღებოდ დავრჩით, თქვენი მტერისას, რაც ჩვენ დღე დაგვადგეს.

გლეხი ალექსი მირბაშვილი

⁂ **დ. ოჩამჩირე** (აფხაზეთი). სიმინდის ფასის აწევა. ჩვენს დაბაში გაცხარებული ვაჭრობაა სიმინდისა. ყოველ-დღე 200-ზე მეტი ურემი ჩამოდის სოფლებიდან სიმინდით დატვირთული. ფუთში აძლევენ 55—60 კაპ., ვაჭარმა კარასაგანგმა ერთი გემი უკვე დატვირთა სიმინდით და საზღვარ-გარეთ გაისტუმრა. ამ ვაჭარსვე სურს კიდევ რამდენიმე გემის დატვირთვაც.

გეგი სანაია

⁂ **ს. გუბი** (იმერეთი). წლევანდელ ზამთარს ვერავინ დაივიწყებს. მან ზარალი მისცა საზოგადოდ ყველას: სოფლებს და დაბა-ქალაქებს. რაც იყო იყო, იმას თავი დავანებოთ, ხოლო მოსავალმა უარესი შემაწუხებელი სურათი წარმოგვიდგინა თვალ-წინ: მშვენივრად გასხლულ და გაშენებულ ვენახებს, აგერ მაისია და კვირტი არ უჩანს, ისე დაუხმია ძირიანად. ვისაც ათი საპალნე მოსდიოდა, წელს ის სამ საპალნესაც-კი დასჯერდება, მაგრამ ისიც საეჭვოა. სიმინდის თესვას აქეთკენ კარგი ამინდი დაუდგა.

განსაკუთრებით საყურადღებოა წელს აქეთკენ „აბრეშუმის" საქმე! თითქმის ერთ ოჯახსაც ვერ ნახავ გლეხი იყოს გინდ თავადი და აზნაური, რომ ერთი კოლოფი ესე იგი 6, მისხალი აბრეშუმი არ ყავდეს. ჯერ სწორედ სამაგალითო სანახავია პაწაწინა ჭიები ისე მშვენიერადა გამოიჩეკა კვერცხებისაგან. თუ ამინდი დაუდგა ბევრს სარგებლობას მოგვცემს. მხოლოდ დრო გამოშვებით წვიმები ნათესებს ყველაფერს მოუხდება, ჩვენს პაწაწინა აბრეშუმის ჭიებს კი ძლიერა სწყენს. სწორედ დიდის მადლობის ღირსი არის „მეაბრეშუმეთა" პირველი ამხანაგობის მმართველობა ხალხისთვის ასე საღი აბრეშუმის თესლების მოპოვებისათვის.

ვასილ კორძაძე

⁂ **ქ. ოზურგეთი** (გურია). ექიმობა. ამას წინედ ერთმა გლეხმა მ. მჟავიამ, რომელსაც ძლიერ მძიმე ავადმყოფი ჰყავდა, მიმართა აქ ერთ ექიმს და სთხოვა მახლობელ სოფელში წაყოლა. დიდი ხვეწნა-მუდარების შემდეგ დაეთანხმა ექიმი გლეხს და ინება ცხენით წაბრძანება. შემდეგ დაბრუნდა ბინაზე და გლეხიც თან მოჰყვა, რომელმაც დაიწყო ცდა ექიმის სადგომის წინ რეცეპტის დაწერამდის. როცა რეცეპტი დასრულდა, ექიმმა გლეხს ფული მოსთხოვა რეცეპტის დასახსნელად, გლეხმა მიაწოდა ორი მანეთი, მაგრამ ექიმი გაცხარდა და უკუ აგდო ეს ფული და გლეხს სამი მანეთი სთხოვა. ერთითოდე მანეთი კიდევ ჰქონდა გლეხს და ექიმს 3 მანეთი შეუსრულა.

დროებით ოზურგეთელი

⁂ **ბახვი** (გურია). სკოლის შესახებ. ექვსი წელიწადი გადის, რაც დაარსებული ყოფილა აქ ორ-კლასიანი სასწავლებელი, მაგრამ, რადგანაც მეორე სკოლისათვის შენობა არ ყოფილა მზად, ამისათვის სწავლა დროებით გამართულია სოფლის სასამართლოს ოთახში, რომელიც ამოდენა მოსწავლეებისათვის ვიწროა. უმჯობესი იქნებოდა, რომ თვით შენობა ყოფილიყო სკოლისათვის მზად და მერე მასწავლებელი ეთხოვათ დირექტორისთვის. ნუ თუ უწინდელ მამასახლისებს არ შეეძლო, რომ საზოგადოებისათვის წინამძღოლობა აღმოეჩინათ და შენობა გაემართათ. ფული ამ საქმისათვის შეგროვილი ყოფილა, მაგრამ ნათქვამია: „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო" და მართალიც არის, ვისაც მიენდო ხალხი, ყველამ უღალატა. წარსული 1897 წ. პირველ ოქტომბერს საზოგადო კრებამ ერთხმად აღმოირჩია მამასახლისად მ. ტუღუში. თავის ვალდებულებას ჯერ ჯერობით, მადლობა ღმერთს, ასრულებს კარგად. მან აღმოაჩინა მთლად შეჭმული ფულები 800 მანეთამდე და საქმე თითქმის ყოველ-დღე წარმოებაშია ამ ფულების შესახებ. ამას გარდა სკოლისათვის მიწაც იყიდა და მალე აშენებული იქნება ორ-კლასიან სკოლისათვის შენობა, იმ გეგმაზე, როგორიც დირექტორმა გამოგვიგზავნა

სასწავლებლის ზედამხედველი ხარიტონ მანთიძე

⁂ **დ. ხონი.** დაწინაურება. ვისაც კი უნახავს წინათ ხონი, ახლა რომ ნახოს სულ სხვა სურათი დაეხატება თვალ-წინ. გამოიცვალა ძველი „ქერქი" და მიისწრაფის ახალი ცხოვრებისაკენ, და თითქმის დაბას კი არა ზოგიერთ ქალაქსაც არ მოეპოვება ამდენი სახსარი. აქ არსებობს სამასწავლებლო სემინარია, ამ ჟამად უკვე დამტკიცებულია და მალე აშენდება „სახელოსნო" სკოლა. აგრეთვე დამტკიცდა და ამა სექტემბრისათვის გაიხსნება დედათა პროგიმნაზია, გვაქვს ვაჟების და ქალების ორ-კლასიანი სკოლა, სამი სამრევლო სკოლაც. გვაქვს გამასესხებელი შემნახველი „კასსა". აქვე არსებობს „მეაბრეშუმეთა" პირველი ამხანაგობის განყოფილება—საქსოვი ქარხანა. აგრეთვე მშვენიერად მორთული ძაფის საღები ქარხანა სანაძისა. ერთი სიტყვით ყოველივე მოგვეპოვება, გარდა ერთისა, რომელსაც არა ნაკლებ საჭიროა სხვა ხალხისათვის. ეს გახლავთ ერთად-ერთი უმთავრესი საჭიროებათაგანი—სამკითხველო.. სწორედ დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ხონელებს ეგ ამბავი, მაგრამ ახლა იმედი გვაქვს მალე გვეღირსება, რადგან დიდათ პატივცემულნი და საპატიო პირნი შრომობენ ამა დიდათ საჭირო საქმისათვის.

ხონი სწორედ შემკულია თავისი მიდამოებით, ჩამწკრივებულია 450-მდე სავაჭრო ლამაზად მორთული მაღაზიები. ყველა ქუჩებს ჩაურბის „ჩანჩქარით" პატარა არხებით ცხენის წყლის „ტოტები". რომელიც მისის სილამაზით იპყრობს, გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას. გვაქვს კარგი და ლამაზი სასეირნო ბაღი, ბულვარი, დრო-გამოშვებით მუზიკასაც უკრავენ შიგ აქაური ორ-კლასიანი სასწავლებლის მოწაფეები.

პაწაწინა აბრეშუმის ჭიები ჯერ აქაც ძრიელ ჯანსაღად გახლავან თუ არაფერმა ჩამოურბინა. ტაროსები შეხავებულია, დრო-გამოშვებით სწვიმს.

ვასილ კასრაძე

⁂ **ქ. ფოთი.** ბურთაობა. მაისის პირველს აქ ჩვეულებრივი ბურთის თამაში გაიმართა, გურულ-მეგრელთა შორის. მაისის ბურთაობა დიდს ყურადღებას იქცევს ხოლმე დამსწრეთა და გურია-სამეგრელოსაკენ. თამაშობამ ღვთით მშვიდობიანად ჩაიარა. ბურთი გავარდა ნაშუადღევის ხუთ საათზე. ბურთი ჩვეულებრივ მკვირცხლად გააქანეს გურულებმა, და ორი საჟენი-ღა უკლდათ ლელოზე, რომ ჩასაფრებულ მეგრელებმა შეაჩერეს ბურთი და უკან დაახევინეს. მაგრამ არც იმათ გაუღიმა ბედმა. ბურთი იქვე ახლო შეჩერდა და მეგრელების ყიჟინის „ვოდოლურა მარგულების" შემდეგ ბურთი გაჭრილ იქმნა, ნაჭრები კი აქეთ-იქით დაიტაცეს.

ხეველი

⁂ **დ. სოჩა.** ფულის მოტაცება. აქ ვიღაც კაცმა მოიტაცა ოთხასი მანეთი და გაიქცა. აი საქმის ვითარება როგორ იყო: კახელს და ერთს მეგრელს ანდრია ლომაიას სამუშაო საქმე ჰქონიათ ერთად აღებული. საქმე რომ შეუსრულებიათ, ორივენი წასულან კანტორაში ფულების მისაღებად, ფული კახელს წამოუღია და უნდა გაეყოთ დუქანში და მუშებისთვისაც უნდა მიეცათ. შესულან თუ არა დუქანში, კახელი უკანა კარებიდან გაპარულა და გაქცეულა. მეგრელს ჰგონებია, რომ ისევ მოვა დუქანშიო, მაგრამ მოტყუვდა. რა დარწმუნდა კახელი გაპარულაო, მაშინვე გამოუყენა მდევრები და თვითონაც გამოუდგა. მესამე დღეს ღამის 11 საათზე შეიტყვეს, რომ კახელი ყოფილა დამალული იქვე მახლობელ დუქნის ჭერს ზევით, რომელშიაც რუსი ვაჭრობს. დუქნების დაკეტვის შემდეგ ყარაულობით გაათენეს. დილას დუქნის პატრონს კარი გააღებინეს, სტოლზე ავიდნენ და იქიდან დაინახეს კახელი ჭერს ზევით დამალული. როცა ჰკითხეს: აქ რა გინდა, ჩამოდი ძირს, არაფერი გიჭირსო, პასუხად მიიღეს: ძირს რა მინდა, სამუშაო მაინც ვერსად ვიშოვნე, ისევ აქ ვიყოვო. ნებით რომ ვერ ჩამოიყვანეს, პოლიციელის მოსაყვანად გაჰგზავნეს კაცი, სხვები დუქანში შევიდნენ შიგნიდან არ გაგვექცესო. სანამ პოლიციელი მოვიდოდა, კახელი გარეთ გამომძვრალა სახურავს ქვეშე და კიდეც გაპარულა შეუმჩნევლად. როდესაც შევიდნენ ჩამოსაყვანად, დარჩნენ გაოცებულნი: კაცის მაგივრად პალტო დაუხვდათ, რომელიც ვერ წაეღო და დაეტოვებინა. მედუქნეს რომ ჰკითხეს—რათ იყო აქ ზევით დამალულიო, იმან უარი განაცხადა—რომ მე არ ვიცოდი ესაო, მაგრამ როგორც ამბობენ, ღამით ჩამოდიოდა თურმე და ვახშამს შეექცეოდა თავისს ამხანაგებთან.

კ. სოხელი

⁂ **ოზურგეთი.** უგზობა და უხიდობა. ჩვენ გვწერენ: შეუძლებელია ოზურგეთიდან ბახვამდის უხიფათოდ მიმოსვლა; არც გზაა, არც ხიდი და არც საგზაო რამ ეტლები. კარგს იზამდა ოზურგეთის მეეტლეთა ამხანაგობა, რომ ეცდებოდეს და ამ გზისათვის იზრუნებდეს და გაჰმართავდეს ქ. ოზურგეთიდან ბახვის სასოფლო სამმართველომდის მგზავრების გადასაყვან-გამოსაყვანს სამგზავრო ლინეიკას, რომელიც ხსენებულს ამხანაგობას სარგებლობას მოუტანს და ბახვის საზოგადოებას და მისს თანამოძმე მეზობლებსაც გაუადვილებენ მგზავრობას. იმედიც უნდა ვიქონიოთ, ხსენებული საზოგადოება და მათი მმართველნი უყურადღებოთ არ დასტოვებენ ამ შენიშვნას, რადგანაც ორივე მხრით სარგებლობა იქნება.

რედაქციისაგან

ბუბში. სპ. ნა—ძეს თქვენს წერილს მანამ ვერ დავბეჭდავთ, სანამ საბუთი არ გვექნება ხელში.

სვირში. გ. კ—ს თქვენი წერილის დაბეჭდვა მოუხერხებელია.

სასამართლოს მატიანე

გრიგოლ მაისურაძის საქმე. 28 აპრილს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა გრიგოლ მაისურაძის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა, რომ მან სიტყვით და მოქმედებით შეურაცხყო სამსახურის განყოფილების ბოქაული ფიცხელაური, უკანასკნელის მიერ სამსახურის ასრულების დროს. ბრალმდებლად იყო პროკურორის ამხანაგი ს. ი. ვოიდატო-პატკევიჩი. ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექილი ა. ს. საყვარელიძე.

მოწმე ფიცხელაური ამტკიცებდა, რომ მას ბრალდებულმა შეურაცხყოფა მიაყენა; სხვა მოწმეთა ჩვენებით კი საქმე სხვა ფრივ იყო. გამოძიების გათავების შემდეგ პროკურორმა უარი განაცხადა ბრალდებაზე; ბრალდებულის დამცველი კი ამტკიცებდა, ბოქაულის ჩვენება დასაჯერებელი არ არისო და წარმოუდგენელია, რომ ცხოვრებით გათელილ ბრალდებულს გაებედნოს ფიცხელაურისათვის დარტყმაო; უფრო დასაჯერებელია ბრალდებულის ჩვენება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მის-მიერ ანტონ აბაშიძის სასარგებლოდ 5 მანეთის გადაუხდელობისათვის სრულიად უკანონოდ, დაატუსაღეს იგი და ერთი დღის შემდეგ გამოიყვანეს სატუსაღოდან კანცელარიაში, სადაც მას ბოქაულმა სცემა. დასასრულ დამცველმა აღნიშნა, რომ ეს ამბავი მოხდა 9 ივნისს, ბრალდებულმა საჩივარი შეიტანა ბოქაულზე 16 ივნისს, ხოლო ბოქაულის ოქმი წარედგინა გამომძიებელს მხოლოდ 9 ივლისს; აშკარაა, რომ ბოქაული არ დააგვიანებდა ოქმის შედგენას, რომ თვითონ ყოფილიყო შეურაცხყოფილიო.

ოლქის სასამართლომ ნახევარი საათის ბჭობის შემდეგ ბრალდებულს გასამართლებელი განაჩენი წაუკითხა.

(„ნოვ. ობ.")

სამეურნეო ცნობანი

როდის დაუდგათ ცახცახა (ცოცხ.) ჭიას. ვიდრე ამაზედ ვიტ-

ყოლდეთ ჩამოვთვალოთ ის კანონები, რომლების შესრულება აუცილებლად საჭირო არის იმისთვის, რომ ქიამ ცახი მოითხოვოს. გავახსენოთ შემოკლებით შემდეგი:

1) დილით, საყაჭეში რომ შეხვალთ, ცხვირი შეგატყობინებთ რა სუნია საყაჭეში, გარდა ყაჭის სუნისა არაფერი არ უნდა გესმოდეთ. თურმე სხვა სუნია, გაალეთ კარები, გაწმინდეთ ჰაერი; თუ გარეთ სიცივეა, ან წვიმაა შეანთეთ ბუხარში ცეცხლი.

2) შემდეგ თუ შეატყოთ სიცივე, გაათბეთ საყაჭე (ვისაც ტერმომეტრი აქვს, იმან დაიკავოს სითბო 16—18 გრადუსამდის.

3) მშრალი, წმინდა ფოთოლი დაუყარეთ ქიას და შემდეგ გადაიყვანეთ წმინდა ადგილზედ, ე. ი. მოაშორეთ წინა დღის ნაგავი და ძალიან ფთხილათ ღასხით ქია. უსათუოდ თხლათ.

4) ნაგავი შორს გადაყარეთ, ხელ ახლა აჭამეთ ფოთოლი და სუფთათ გამოწმინდეთ საყაჭე, ებრძოლეთ ნოტიოს კირით.

5) იხმარეთ მოხსენებული ცნობის ფურცელში ღონისძიება სენის გაჩენის წინააღმდეგ.

6) ხშირათ აჭამეთ და ცოტ-ცოტა. ფოთოლი უნდა იქნეს რიგიანი.

7) ნელ თბილ დღეებში თითქმის დილიდგან (9—10 საათიდგან ან უკეთ ვთქვათ, სოფლის წირვის დაწყების დრო, რომ მოაწევს იქიდგან გაღებული იქონიეთ კარები ან ფანჯრები. გამქრალი ქარი არ იქნეს, საღამოს რო აცივდება დახურეთ კარები.

როცა ეს მოხსენებული „ცნობის ფურცელში“ კანონები შესრულდება, დადგება დრო ცოცხის დადგმისა. ცოცხზედ ამსვლელი ქია სტოვებს საჭმელს, შორდება ამხანაგობას, ზეით აიწევს წაწვრილებულ თავს, თითქო სუნით ეძებდეს რასმეს. განავალი რბილია და როდააჭერ ხელს, შიგნით მწვანეა. დაისვით სალოკი თითზედ ქია, შეხედეთ გვერდით; თუ თავისუფლათ მოჩანს ქარვასავით ყვითელი რამე (თხელი აბრეშუმია ყვითელ პარკის მომცემი) ან თეთრი (თეთრი აბრეშუმი), ეს ამტკიცებს ცახზედ ასვლის დროს, ამ დროს ძალიან კარგათ ეტყობა გულის ძგერაც, რომელიც იმყოფება ზურგზედ; ადვილად შეამჩნევთ როგორც ფართოვდება და ვიწროვდება გული სიგრძით. აი როცა ეს ნიშნები შეატყოთ, უნდა დაუდგათ ცახი.

რისა უნდა იყოს ცახი. ჩვენში ცოცხათ ყოველიფერს ხმარობენ: ოდიშში და იმერეთში რძია-რძიას (შეგრულად მაბჟალია) უპირველესი ადგილი უჭირავს, სხვაგან კიდევ ეს არის და სხვა მცენარეებიც. როცა ბევრი ავა ცოცხზედ რძია-რძიას გადააფენენ მუხის ან რცხილის ფოთოლს. ეს კი კარგი, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ არც ერთს ხეირიანათ არ აშრობენ. რძია-რძიას მოაშრობენ ერთ ორ დღეს და მუხის ფოთოლს კი ნედლად ხმარობენ. აქედგან ის სამწუხარო გარემოებაა, რომ პარკები საზოგადოდ ყველა თბილია, დაუთავებელია. ამასთან, რადგანაც ცახი (ცოცხი, ბუდე) ერთობ ვიწროა, გამოდის ბევრი ღომფალი ე. ი. პარკები, მსხვილ-მსხვილი ორ-სამ ქიიდან გაკეთებული. ეს ყოვლად საზარალო მოვლენაა, ვინ არ იცის, რომ ნედლ ფოთოლში ან რძია-რძიაში იმყოფება ბევრი ნოტიო, რომელიც ნებას არ აძლევს ქიას მოათავოს პარკი. შესაძლებელია სულაც ვერ გააკეთოს და ისე მოკვდეს. ამისთვის ერთი ორი კვირით წინ უნდა შეაგროვოთ საცოცხე მასალა და ძალიან გააშროთ მზეზედ. ცახებად მე დიდი ხანია ვხმარობ ღომის ჩალას ფოთლიანს და მართალი უნდა მოგახსენოთ, საუცხოო პარკებს ვღებულობ, როცა სოფელში ფუთი იყიდებოდა ცხრა მანეთად, ამ ცახებზედ გაკეთებული პარკები სულ სათესლეთ გაიყიდა თერთმეტ მანეთათ, ფუთი. სხვათა შორის ეს ცახები არის დადგმული წელს ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის საბრეშუმოში და ჯერ საქმე კარგათ მიდის. საცოცხეთ ვარგა ყოველისფერი, მხოლოდ უსათუოთ უეკლო და ძალიან ხმელი საცოცხე რაც უნდა იყოს უნდა შეკრად კონებად. სარტყელის *) ზეით და ქვეით უნდა კარგათ გაფარჩხოთ, რომ შიგ თავისუფლათ გააკეთონ ქიებმა პარკები და რაზედაც ქიებია, რიგიანათ შემოუმწკრიოთ.

ნ. მკურნალი

(შემდეგი იქნება)

---

*) იმას, რითაც შეკრულია კონა, მე დავარქვი სახელად სარტყელი.

* * *

მწიგნობრობა

ჩვენ მივიღეთ ახლად გამოცემული ქართული წიგნი: „მწარე ფიქრები. ახალი ლექსები“ დუტუ მეგრელისა გამოცემა ვ. მასხულიასი და ი. კიღაძისა. წიგნი შეიცავს 78 გვერდს, პატარა ზომისაა დასტამბულია საუკეთესო ქაღალდზე სუფთად და ლამაზად, ჰღირს აბაზი.

* * *

წვრილი ამბავი

ახალნაირი მონობა. ამერიკელი გაზეთები სამართლიანად წინა-აღუდგებიან ახალ სისტემის მონობას, რომელიც აქამდის, თურმე, არის სამხრეთ შტატებში, განსაკუთრებით ფლორიდაში, დამნაშავეთა შესახებ, რომელთაც მადნებში მუშაობა აქვთ გადაწყვეტილი, ეს სისტემა არაფრად განსხვავდება ძველი მონობისგან. დამნაშავეთა შესანახავ ხარჯის შესამცირებლად ანგარიშიან ფლორიდელ მართებლობამ მოიგონა ისეთი რამ, რომელიც ფულის მოგების ინტერესს უფრო ვიდრე სხვა რამ. ეს—საგანი მეტად უბრალოა: დამნაშავეთ, რომელთაც კატორღაში მუშაობა აქვთ გადაწყვეტილი, ისინი ვაჭრობით აძლევენ მათი სასჯელის ვადით იმას, ვინც უფრო მეტს ფასს მისცემს. ამ ცოტა ხანში ქალაქ ალბიონში, ფლორიდაში, ამ სახით იქმნენ გაყიდულნი ვადით 430 მამა-კაცი, დედა-კაცი და ბავშვები, 21,000 დოლარის ფასად, ძალიან მძიმე სამუშაოს შესასრულებლად. მყიდველნი ამ უბედურებს საშინელის მტარვალობით ეპყრობიან, სცემენ და ჰბოჭმენ მათ, ერთის სიტყვით თვით უწინდელ უდიერ მონების მპყრობელებსაც-კი აჭარბებენ.

* * *

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 მაისი

მადრიდი. პორტო-რიკოდგან მოსული ოფიციალური დეპეშა ამტკიცებს, რომ ამერიკელების ესკადრის მხრივ სროლამ 2½ საათს გასტანა და მცირეოდნად დააზიანა მოწინააღმდეგენი. ერთს ყაზარმაში 4 ჯარის კაცია მოკლული და რამოდენიმე დაჭრილი. ამერიკელებმა უკან დაიხიეს და დიდათაც დაზიანდნენ. ერთი დიდი გემი ისე დაზიანდა, რომ სხვა გემზედ უნდა მიიბათ და ისე წაეყვანათ.

ფორტ-მონროე. შლეის მსწრაფლ-მავალმა ესკადრამ ბრძანება მიიღო ზღვაში გასვლისა; რა საქმე მიანდეს, ცნობილი არ არის.

ვაშინგტონი. ზღვათა მინისტრი ამტკიცებს, რომ ისპანიელების ესკადრა მარტინიკიდგან დასავლეთისაკენ წავიდაო.

მადრიდი. პორტო-რიკოსთან ამერიკელების ესკადრის დამარცხება მტკიცდება, თუმცა 11 გემიდან ესროდნენ ყუმბარებს, მაგრამ ისპანელების ბატარეიამ, რომელიც კრუპის ზარბაზნებით იყო შეიარაღებული, უკუ აქცია ისინი.

მადრიდი. ოფიციალური დეპეშა პორტო-რიკოს გენერალ-გუბერნატორისა იუწყება: „დილის 9 საათის შემდეგ მტრების ესკადრამ უკან დაიწია. სამი საათის განმავლობაში ის განუწყვეტლივ ყუმბარებს გვიშენდა. ციხის ზარბაზნები პასუხს აძლევდნენ და შესამჩნევად დაზიანეს ესკადრა, განსაკუთრებით ერთი დიდი გემი, რომელიც სხვა გემზე მიბმული გაიყვანეს. ჩვენი ბატარეია და სამხედრო შენობანი ერთობ მსუბუქად დაზიანდა. რამოდენიმე მოქალაქე დაიჭრა. მეციხოვნე ჯარის-კაცთაგან 2 მოკლულია და 3 დაჭრილი“.

მადრიდი. ამერიკელები ყუმბარებს ესროდნენ ბაგი-გონდუს, პინარიოს პროვინციაში. ჯარმა უკუ აქცია ისინი.

ამერიკელების გემები ისევ გამოჩნდნენ გუშინ კარდენიასთან.

კივესტი. ჯარის გადამყვანი გემი „Gussie“, რომელმაც ტამპიდგან ყუბისაკენ ამერიკელების ორი როტა წაიყვანა, დიდი ბრძოლის შემდეგ, გუშინ ისინი აკაბანიაში გადასვა. „Gussie“-ს ყუბის ნაპირებთან შეხვდნენ საშველად ორი ნაღმიანი გემი. როცა სამივე გემი მიუახლოვდა ნაპირს, ისპანილების დიდმა ჯარმა სროლა დაუწყო, რომელსაც ნაღმიანი გემები პასუხს აძლევდნენ, სანამ ჯარი ნაპირზედ გადავიდოდა, შემდეგ კი ბრძოლა ხმელეთზედ გაგრძელდა. ისპანელები, რომლებმაც სიმაგრეებს იქითკენ დასწიეს, განუწყვეტლივ ისროდნენ. ამერიკელებს საშველად ინსურგენტები შეუერთდნენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ესპანელები უკუქცეულ იქმნენ.

იოკაჰამა. რადგან განშაში არეულობის დროს იაპონიის საკონსულო დააქციეს, იაპონიის გაზეთები ამბობენ, რომ იაპონიისათვის საჭირო არ არის ახალ მამულების შეძენას ეცადოს, მაგრამ უნდა მოვითხოვოთ, რომ ჩინეთმა ფორმალურად ბოდიში მოითხოვოს, ზარალი გვიზღოს და დამნაშავენი დასაჯოს. შემდეგ საჭიროა, რომ ჩინეთის მთავარ-სამმართველოში იაპონიის ორი მოხელე იქმნას დანიშნული სამოქალაქო და სამხედრო, და ნება უნდა დაგვრთონ იაპონია ჩინეთის ბანკის დაარსებისა.

3 მაისი.

გიბრალტარი. კადიკსში დიდძალს ჯარს აგროვებენ ფილიპეს კუნძულებისათვის.

პეკინი. პრინცი ჰენრიხი პრუსიელი აქ მოვიდა.

მადრიდი. მარტინიკოდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ ფორდე-ფრანსში ისპანიის მარტო ერთი გემი შევიდა და არა მთელი ესკადრაო.

ლონდონი. გლადსტონი უფრო ცუდად გახდა. გადაცვალებას ყოველ წუთში მოელიან.

ფოსტ-მონროე. მსწრაფლ-მავალი ესკადრა აქედგან გავიდა.

მადრიდი. გენერალი ბლანკო დეპეშით იუწყება ჰავანიდან, რომ ამერიკელების ხუთი გემი სცდილობდა სხვა-და-სხვა ადგილას ჯარი გადაეყვანა ნაპირებზე, მაგრამ ხმელეთის ჯარის მიერ ყველგან უკუ ქცეულ იქმნენო, რომელიც გემების მიმოსვლას თვალყურს ადევნებდნენო. ორი ამერიკელი ტყვედ იქმნა წაყვანილი. ერთი აფიცერი მოკლულია, რამდენიმე ჯარისკაცი დაჭრილი.

იოკოგამა. ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა 11 მაისს სვატაში. 200 მეთევზეების ნავი აღარ სჩანს, რომლებშიაც 1500 კაცი იყო.

ვაშინგტონი. შემდეგ მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, რომ ისპანიის ფლოტი კიურასაში იმყოფებაო.

ვაშინგტონი. გერმანიის აქაურ დიპლომატთა წრეებში ამბობენ, რომ ის ხმები, ვითომც გერმანიას აზრადა ჰქონდეს ფილიპეს კუნძულების შესახებ საქმეში ჩაერიოს, ჭეშმარიტებას მოკლებულიაო. ჰფიქრობენ, რომ ეს ხმები განგებ არის გავრცელებული ლონდონში, რათა შეერთებულ შტატებს და ინგლისს შორის უფრო განამტკიცონ კავშირიო.

4 მაისი.

მადრიდი. ზოგიერთი მინისტრები სამსახურს თავს დაანებებენ, დედოფალი საგასტას მიანდობს კაბინეტის შედგენას.

ნიუ-იორკი. სამპსონის ესკადრა პუერტო-პლატში მივიდა.

კინგსტონი. (იამაიკა) სანვისენტსა და ლუჩიას შორის ტელეგრაფის მავთული გაწყვეტილია.

პარიჟი. გაზეთები ამბობენ, რომ ჩამბერლენის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ბირმინგამში ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება იქონია. ერთმა მინისტრმა სთქვა, ჩამბერლენს უნდოდა შეეტყო, როგორ იმოქმედებს ჩემ მიერ წარმოთქმული აზრი ამერიკის შტატებთან კავშირის შესახებაო მთელს ევროპაზე. თუ ეს აზრი განხორციელდა, ევროპის ყველა სახელმწიფო შეერთდება, რათა ბოლო მოუღოს ინგლისის გათამამებულს სურვილს.

5 მაისი.

მადრიდი. ამერიკის თერთმეტი გემი გვაანასთან იდგნენ მოშორებით.

გენერალი ბლანკო დეპეშით იუწყება, რომ გუშინდელი იერიში ისპანეთის გემებისა იმ მოსაზრებით იყო გამოწვეული, რომ რაც შეიძლება მეტი გემები მოგვეზიდნა გავანასთანაო, რაიც შესრულდა კიდეც, რადგან 11 გემი უკვე გავანასთან დგანანო.

მადრიდი. სეგასტამ დედოფალს მიართვა სამინისტროს გადაყენების თხოვნა. დედოფალმა ისევ სეგასტას დაავალა სამინისტროს შედგენა.

პეკინი. პრინც გენრიხმა გუშინ სადარბაზოდ ინახულა ქვრივი დედოფალი და იმპერატორი ჩინეთისა.

განცხადებანი

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!
ჰიგიენური
ბორნო-ტამოუულის საპონი
გ. ფ. იურგენსისა
აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალი ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი 1898 წ.
ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ.,
½ ნაჭერი 30 კაპ.
ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში
პირველი საწყობი მთელის რუსეთითვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში საქვს, დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, წურინოვთან, გრივნიკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—19)

გამოვიდა და ისყიდება
„ცნ. ფურც.“-ს გამოცემა № 2
თავ.
ილ. ჭავჭავაძე
(წერილი ხალხისათვის)
ნადიკვრელისა
ფასი 2 კაპ.
ასი ცალი იყიდება 1 მ. 30 კ.
ორასი — — 2 მ. 20 კ.
სამასი — — 3 მ.
ცსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Мая 1898 г. სტამბა „ცნობის ფურცლისა“ (გ. გუნიასი) სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია